

თბილისში მოსახლეობის ცოდნისა და ინფორმირებულობის შესწავლა
პაპილომავირუსის პროფილაქტიკის შესახებ

ლენა ნოზაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: ირმა ბურჯანაძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

”როგორც წარდგენილია სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.



03.07.2022

აბსტრაქტი

21-ე საუკუნეში მსოფლიოს მასშტაბით კვლავ პრობლემად რჩება ადამიანის პაპილომავირუსი (HPV), რომელიც არის სქესობრივი გზით გადამდები დაავადება და იგი ადამიანის რეპროდუქციულ ფუნქციაზე უარყოფითად აისახება. მსოფლიო თავდაუზოგავად იბრძვის რათა შეამცირონ ამ ვირუსის გავრცელება და პრევენციული ღონისძიებები დანერგონ. ეს ვირუსი ძირითადად გვხვდება 20-30 წლის ორივე სქესის ადამიანებში. მთელს მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც მდებრობით სქესში გვხვდება ადამიანის პაპილომავირუსით (HPV) გამოწვეული კიბოს შემთხვევები, მათ შორის საშვილოსნოს ყელის კიბო, რომელიც მაღალი ლეტალობის მაჩვენებლით გამოირჩევა. მეცნიერებმა შექმნეს ვაქცინა ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგოდ.

მიზანი: თბილისის მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის შეფასება ამ ვირუსთან და იმ პროფილაქტიკურ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომელიც ჩვენს ქვეყანაშია დანერგილი. მინდა გამოვყო ის ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორები, რომელიც აღნიშნული პროგრამის განხორციელებას უშლის ხელს. ნაშრომისათვის მნიშვნელოვანი იყო გაგვეგო თუ რამდენად ფლობს მოსახლეობა ინფორმაციას პაპილომავირუსზე, მის გამომწვევ მიზეზებზე, გადაცემის გზებზე და პროფილაქტიკაზე. ამ კვლევით ჩვენ შეგვიძლია გავარკვიოთ თუ რა იწვევს ინფორმირებულობის და იმუნიზაციის დაბალ დონეს. აღნიშნული საკითხების შეფასებით განვსაზღვრეთ პაპილომავირუსის იმუნიზაციის და საშვილოსნოს ყელის კიბოს აღმოფხვრის არეალი და დონე. არსებულ კვლევაზე დაყრდნობით კი მომზადდა დასკვნები და რეკომენდაციები.

კვლევის მეთოდები: სამაგისტრო კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო საჭირო წყაროების მოძიება, დახარისხება, შეკრება, ანალიზი, ონლაინ კვლევა, რომელიც ჩატარდა სოციალური ქსელში წინასწარ შედგენილი კითხვების საფუძველზე. არსებული

მონაცემები კი დამუშავდა სტატისტიკურ პროგრამა SPSS-ში. მიზნობრივი ჯგუფს წარმოადგენენ თბილისში მცხოვრები ადამიანები, მათ შორის დროებით მცხოვრებლები და სტუდენტები, რომლებით გარკვეული დროით არიან ჩამოსულები და მათი ასაკი შეადგენს 20-59 წელს. რესპონდენტთა შერჩევა მოხდება შემთხვევითობის პრინციპით, სულ გამოიკითხება 100 ადამიანი. რაოდენობრივი კვლევის პროცესში გამოვიყენეთ 26 დახურული ტიპის შეკითხვა.

საკვანძო სიტყვები: ადამიანის პაპილომავირუსი, საშვილოსნოს ყელის კიბო, ვაქცინაცია

Abstract

The human papillomavirus (HPV), a sexually transmitted disease which harms human reproductive function, remains a worldwide problem in the 21st century. The world is fighting tirelessly to reduce the spread of this virus and implement preventive measures. This virus is mainly found in people of both sexes aged 20-30 years. All over the world, including in Georgia, there are cases of cancer caused by the human papillomavirus (HPV) in the female sex, including cervical cancer, which has a high lethality rate. Scientists have created a vaccine against the human papillomavirus.

Purpose: is to assess the level of awareness of the population of Tbilisi regarding this virus and the preventive measures that have been implemented in our country. I want to highlight the main hindering factors that prevent the implementation of the mentioned program. It was important for the paper to find out how much the population has been informed about the papillomavirus, its causes, ways of transmission, and prevention. With this study, we can find out by assessing the issues we have determined the area and level of HPV immunization and cervical cancer eradication. Conclusions and recommendations were prepared based on the existing research.

Research methods: within the framework of the master's research, the necessary sources were searched, sorted, assembled, analyzed, and online research was carried out based on pre-prepared questions in the social network. The available data was processed in the SPSS statistical program. The target group is people living in Tbilisi, including temporary residents and students who have come for some time and whose age is 20-59 years. Respondents will be selected randomly, and a total of 100 people will be interviewed. In the process of quantitative research, we used 26 closed-type questions.

Keywords: human papillomavirus, cervical cancer, vaccination